ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 1469

18/08/2017

ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №84-ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1709.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) არსებული შენობა-ნაგებობის (ყოფილი ტუბ-დისპანსერის შენობა-ნაგებობა. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 598.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №84-ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1709.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) არსებული შენობა-ნაგებობის (ყოფილი ტუბ-დისპანსერის შენობა-ნაგებობა. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 598.00 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვისტოს №38 140 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №84-ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1709.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) არსებული შენობა-ნაგებობის (ყოფილი ტუბ-დისპანსერის შენობა-ნაგებობა. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 598.00 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №84-ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1709.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) არსებული შენობა-ნაგებობის (ყოფილი ტუბ-დისპანსერის შენობა-ნაგებობა. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 598.00 კვ.მ) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 900 (ცხრაასი) ლარი.

1.3. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №84-ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1709.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) არსებული შენობა-ნაგებობა (ყოფილი ტუბ-დისპანსერის შენობა-ნაგებობა. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 598.00 კვ.მ) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

1.4. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №84-ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1709.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) არსებული შენობა-ნაგებობა (ყოფილი ტუბ-დისპანსერის შენობა-ნაგებობა. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 598.00 კვ.მ) ელექტრონულ აუქციონზე საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 50%–ს ოდენობით.

1.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.5.1. ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.5.2. ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.5.3. ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) თვე. აღნიშნული 1 (ერთი) თვიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

1.5.4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი